

ბოთლების კაზუსი

ა-ს და ბ-ს შორის არსებობდა შეთანხმება რომლის დროსაც ბ ა-ს გადაცემდა გარკვეული რაოდენობის ბოთლს თითოეულს 3 თეთრად, ამჯერად ა-მ შეატყობინა ბ-ს რომ მას სურდა 1000 ცალი ბოთლი თითოეული 3 თეთრად, რაც ა-ს მხრიდან ს.კ 329 მუხლის 1 პუნქტის თანახმად ოფერტად მიიჩნევა. ამის შემდეგ პასუხად ბ-მ თანხმობა განაცხადა თუმცა ბოთლებს თითოს არა 3 თეთრად არამედ 4 თეთრად დაამზადებდა, ბ-ს ეს პასუხი 333 მუხლის 2 პუნქტის თანახმად ითვლება უარად ოფერტზე და ამავდროულად ახალ წინადადებად. ამის შემდეგ ა-მ პასუხი არ გასცა ბ-ს რაც ა-ს მხრიდან ს.კ 335 მუხლის 1 პუნქტის თანახმად ოფერტზე აქცეპტად ითვლება და ა-ს და ბ-ს შორის იდება ორმხრივი ხელშეკრულება რომლის თანახმადაც ბ ვალდებულია დაუმზადოს ა-ს 1000 ცალი ბოთლი ხოლო ა ვალდებულია გადაუხადოს ბ-ს თითოეულ ბოთლში 4 თეთრი.

ბ-მ დათქმულ დროს მიუტანა ა-ს 1000 ცალი ბოთლი ა-ს იურიდიულ მისამართზე (აქ მოცემულიც იყო მისამართი, „სიტყვაზე“ ეს მისამართი იყოს X)

ა-ს იურიდიული მისამართი X, 362 მუხლის თანახმად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ვალდებულების შესრულების ადგილი. მაგრამ ა-ს მისამართი შეუცვლია. ამიტომ ბ-მ გარკვეულ საწყობს მიაბარა ბოთლები შესანახად, ამიტომ 363 მუხლის 2 პუნქტის თანახმად ის ხარჯები რაც მიადგა ბ-ს ბოთლების საწყობში ტრანსპორტირებისა და იქ დროებით შენახვისთვის უნდა გადაიხადოს ა-მ. ეს მოხდა 2006 წლის 1 სექტემბერს.

ამის შემდეგ ცოტა ხანში ა დაუკვაშირდა ბ-ს და კუთვნილი ბოთლები მოითხოვა. ბ-მ ა-ს მიუტანა ახალ იურიდიულ მისამართზე ბოთლები, ეს მისამართიც ითვლება ვალდებულების შესრულების ადგილად 362 მუხლის თანახმად. ა-მ მიიღო ბოთლები და სანაცვლოდ ბ-ს გადასცა 3000 ლარი.

ბ ითხოვდა დარჩენილი 1000 ლარის გადახდას დროდადრო თუმცა ა

აცხადებდა რომ მან ბოთლები შეიძინა თითო 3 თეთრად და შესაბამისად არანაირი ვალი ბ–ს მიმართ მას არ ქონდა.

2007 წლის 15 სექტემბერს ა–მ აღიარა წერილობით რომ ბ–სთან ქონდა 1000 ლარის გადახდის ვალდებულება თუმცა არც ეს ვალდებულება არ შეასრულა.

2010 წლის 10 იანვარს ბ–მ მიმართა სასამართლოს და ა–სგან მოითხოვა 1000 ლარის გადახდა და აგრეთვე იმ ზარალის ანაზღაურება რაც ა–ს იურიდიული მისამართის შეცვლამ გამოიწვია, 700 ლარის.

ხოლო საპასუხოდ ა–მ განაცხადა რომ ორივე ვალდებულებაზე ხანდაზმულობის ვადები უკვე გასული იყო და არ აპირებდა არც 1000 ლარის გადახდას და არც 700 ლარის გადახდას.

ა ცდებოდა იმაში რომ მას ქონდა 1000 ლარის გადახდის ვალდებულება ვინაიდან ამ თანხის ხანდაზმულობის ხელახალი ათვლა დაიწყო არა იმ დღიდან როდესაც მან 3000 ლარი გადასცა ბ–ს არამედ იმ დღიდან როდესაც მან წერილობით აღიარა ბ–სთან 1000 ლარის ვალდებულება, 2007 წლის 15 სექტემბრიდან. აქედან გამომდინარე **ს.კ 129 მუხლის 2 პუნქტის** თანახმად ხანდაზმულობი ვადა 1000 ლარზე არ იყო გასული და ა ვალდებული იყო გადაეხადა ბ–სთვის 1000 ლარი.

რაც შეეხება ზარალის ანაზღაურებას 700 ლარს მისი ხანდაზმულობის ვადა ითვლება იმ დღიდან როდესაც ბ–მ ბოთლები მიაბარა შესანახად საწყობს, 2006 წლის 1 სექტემბრიდან აქედან გამომდინარე 2010 წელს ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო და ბ ვერ მოითხოვდა ა–სგან 700 ლარის გადახდას.

არსი - ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისა და მის საფუძველზე სახელშეკრულებო თანხის გადახდის მოთხოვნის არსებობა , ასევე, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

ანალიზი -

1-ლი მოთხოვნა : შესაძლოა ბ.-ს ჰქონდეს ა.-სგან დარჩენილი თანხის მოთხოვნის უფლება სსკ-ს 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

მოთხოვნის წინაპირობაა ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე 327-ე მუხლის 1-ლი და 477-ე მუხლების შინაარსით და მის საფუძველზე წარმოშობილი სახელშეკრულებო ვალდებულება 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. წინაპირობის შემოწმება : ა.-ს მიერ ბ.-სთვის შეთავაზება, რომ სურს 1000 ცალი ბოთლი , თითოეული 3 თეთრად , არის ოფერტი სსკ-ს 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რადგანაც მიმართულია კონკრეტული პირის, (ბ.-ს) მიმართ და განსაზღვრავს ხელშეკრულების არსებით პირობებს (1000 ცალი ბოთლი, თითოეული 3 თეთრად), აქვს ბოჭვის ძალა, სსკ-ს 51-ე მუხლის თანახმად ოფერტი არის მიღებას ვალდებულო ნების გამოვლენა, 51-ე მუხლით განსაზღვრული ცალმხრივი გარიგებებისგან განსხვავებით ოფერტი დამოუკიდებლად არ წარმოშობს ვალდებულებას (კაზუსის ფაბულაში არაა მოცემული და აქვე უნდა ვისაუბროთ თანმყოფი პირის მიმართაა ოფერტი თუ არა). ბ.-მ თანხმობა განაცხადა, თუმცა, ნაცვლად 3 თეთრისა, ბოთლების 4 თეთრად დამზადება შესთავაზა ა.-ს . მისი ეს შეთავაზება სსკ-ს 333-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად იქნება უარი ოფერტზე და, ამავე დროს, ახალი ოფერტი, იგივე მოდიფიცირებული აქცეპტი. ა.-მ ბ.-ს არ უპასუხა, რაც სსკ-ს 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ჩაითვლება აქცეპტად, გამომდინარე იქიდან, რომ კაზუსის თანახმად ბ. მეწარმეა.

შუალედური დასკვნა : ა.-სა და ბ.-ს შორის დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ბ. ვალდებულია დაუმზადოს ა. -ს 1000 ცალი ბოთლი , ხოლო ა. ვალდებულია გადაუხადოს ბ.-ს თითოეულ ბოთლში 4 თეთრი.

კაზუსის ფაბულის თანახმად, ბ.-მ ბოთლები გაგზავნა ა.-ს თავდაპირველ მისამართზე, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ა.-მ მისამართი შეიცვალა (ამაზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებ). მოგვიანებით, ა. დაუკავშირდა ბ.-ს

და კუთვნილი ბოთლები მოითხოვა. ბ.-მ ა.-ს მიუტანა ახალ იურიდიულ მისამართზე ბოთლები, ეს მისამართი ითვლება ვალდებულების შესრულების ადგილად.

ა.-მ მიიღო ბოთლები და სანაცვლოდ ბ.-ს გადასცა 3000 ლარი. ბ. ითხოვდა დარჩენილი 1000 ლარის გადახდას დროდადრო თუმცა ა. აცხადებდა, რომ მან ბოთლები შეიძინა თითო 3 თეთრად და შესაბამისად, არანაირი ვალი ბ.-ს მიმართ მას არ ჰქონდა. კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. მყიდველის არგუმენტი, რომ არ არსებობს 1000 ლარის გადახდის ვალდებულება იმის გამო, რომ მხარეთა შორის თითქოსდა არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მხედველობაში არ მიიღება, რადგან სსკ-ის 334-ე მუხლის შესაბამისად ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ითვლება. კაზუსის ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას. „ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, 1000 ლარის გადახდის შესახებ, წარმოიშვა 2006 წლის 1-ლი სექტემბრიდან. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. 2007 წლის 15 სექტემბერს ა-მ ბ.-ს წინაშე სსკ-ს 341-ე მუხლის შესაბამისად წერილობითი ფორმით აღიარა, რომ ბ.-სთან ჰქონდა 1000 ლარის გადახდის ვალდებულება, თუმცა, არც ეს ვალდებულება არ შეასრულა. სსკ-ის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. სსკ-ის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ, შეწყვეტამდე გავლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. რადგან მყიდველმა 2007 წლის 15 სექტემბერს,

წერილობით აღიარა 1000 ლარის გადახდის ვალდებულება, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა. სსკ-ის 123-ე მუხლის მეორე ნაწილის, სსკ-ის 130-ე და სსკ-ის 141-ე მუხლების საფუძველზე, ხანდაზმულობის ახალი სამწლიანი ვადის დენა დაიწყო 2007 წლის (იმ თვიდან, რომელშიც წერილობითი ფორმით თანხის გადახდა იკისრა პირმა-კაზუსიდან გამომდინარე) და მთავრდება 2010 წლის (იმავე თვესა და რიცხვში) მაშასადამე, „ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, 1000 ლარის გადახდის თაობაზე, არ არის ხანდაზმული.

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს, სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, შეუძლია მოსთხოვოს „ა“-ს ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის დარჩენილი ნაწილის, 1000 ლარის გადახდა.

მე-2 მოთხოვნა : შესაძლოა, ბ.-ს ჰქონდეს ა.-ს განზარალის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ს 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, რომ ბ.-მ დათქმულ დროს მიუტანა ა.-ს 1000 ცალი ბოთლი ა.-ს იურიდიულ მისამართზე. აღმოჩნდა, რომ ა.-მ მისამართი შეიცვალა, რის გამოც ბ.-ს ბოთლების საწყობისთვის მიბარებამ მოუწია გარკვეული ვადით, რამაც გამოიწვია ბ.-ს მხრიდან დამატებითი ხარჯების გადახდა. ეს ხარჯი შეადგენდა 700 ლარს.

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს, სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, აქვს „ა“-ს მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვისა და ტრანსპორტირების გამო წარმოშობილი დამატებითი ხარჯების – 700 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება.

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, დამატებითი ხარჯების ანაზღაურების შესახებ, წარმოიშვა 2006 წლის 1-ლი სექტემბრიდან, ანუ იმ დღიდან,

როდესაც ბ.-მ ბოთლები შესანახად მიაბარა საწყობს, ხოლო მოთხოვნა, წარდგენილი იქნა 2010 წლის (განსაზღვრულ თვეში-კაზუსის მიხ.). ვიცით, რომ სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სახელშეკ-რულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო სსკ-ის 130-ე მუხლიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ან შეწყვეტას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, ირკვევა, რომ ბ.-ს მხრიდან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გასულია. სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

შუალედური დასკვნა : ა. უფლებამოსილია არ აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, ბ.-ს მოთხოვნა კი განუხორციელებელია.

საბოლოო დასკვნა :

1. „ბ“-ს, სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები 700 ლარის ოდენო-ბით, მაგრამ სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საფუძველზე მოთხოვნა განუხორციელებელია.
2. „ბ“-ს, სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან, ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის, 1000 ლარის გადახდა.